

სტრასბურგი, 2008 წლის 18 დეკემბერი

**ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭო (ემსს)**

**დასკვნა №11 (2008)**

**ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის საყურადღებოდ**

**სასამართლო გადაწყვეტილებების ხარისხის შესახებ**

*იმისათვის, რომ გაადვილდეს ამ დასკვნის გაერცვლება (გამოყენება), წევრმა სახელმწიფოებმა სასურველია თარგმნონ იგი თავიანთ ენებზე*

**ზოგადი დებულებები**

1. მართლმსაჯულების ხარისხი წარმოადგენს ევროპის საბჭოს უცვლელ და გრძელვადიანი საზრუნავს, რაც ასახულია ევროპის საბჭოს ეგიდით მიღებულ კონვენციებში, რეზოლუციებში, რეკომენდაციებში და ემსახურებიან მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის გაადვილებას, მართლმსაჯულების პროცესის გაუმჯობესებასა და გამარტივების, სასამართლოების მუშაობის შემსუბუქებას, რათა მოსამართლეების საქმიანობა დაეთმოს მხოლოდ სამართლებრივი საკითხების1 გადაწყვეტას.
2. ამ კონტექსტში და მისი სამოქმედო გეგმის შესაბამისად, ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭომ გადაწყვიტა მიეღო დასკვნა №11 სასამართლო გადაწყვეტილებების ხარისხის შესახებ, რაც მართლმსაჯულების ხარისხის მთავარი შემადგენელი ნაწილია.
3. ნათელი დასაბუთებულობა და ანალიზი წარმოადგენს სასამართლო გადაწყვეტილების მიმართ წარდგენილ ძირითადი მოთხოვნას და სამართლიანი სასამართლოს უფლების მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი ავალდებულებს სახელმწიფოებს სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველყოფას, ასევე, ეფექტური პროცესის დამკვიდრების ხელშეწყობას. ვალდებულება განხორციელებულად ითვლება, როდესაც მოსამართლეები სამართალწარმოებას ახორციელებენ სამართლიანად და სწორად, სამართალზე და ფაქტებზე დაყრდნობით, რისი საბოლოო მიზანი მოქალაქეებისათვის სარგებლის მოტანაა. სასამართლო გადაწყვეტილება მაღალი ხარისხის მქონედ ჩაითვლება თუ იგი აღწევს თავის სწორ მიზანს – იმდენად, რამდენადაც მოსამართლეთა ხელთ არსებული მატერიალური რესურსები ამის საშუალებას იძლევიან – და აღწევს ამას სამართლიანად, სწრაფად, ცხადად და არაოარზროვნად.
4. აღნიშნულის გათვალისწინებით, ემსს-მ მიიჩნია, რომ დამოუკიდებელი სასამართლო არის მოქალაქეების უფლება; თავის დასკვნა № 1-ში (2001წ) ემსს-მ განაცხადა „სასამართლოს დამოუკიდებლობა არ არის პრეროგატივა ან პრივილეგია სასამართლოს ინტერესისათვის, არამედ არის მართლმსაჯულების და იმ პირთა ინტერესი, რომლებიც ესწრაფვიან მართლმსაჯულებას“. ასევე, ემსს-მ 2001 წლიდან მიღებულ თავის სხვადასხვა დასკვნებში ჩამოაყალიბა სხვა წინადადებებიც იმის შესახებ, თუ როგორ უნდა უზრუნველყოს თითოეულმა სამართლებრივმა სისტემამ სასამართლოსადმი მიმართვის უფლების განხორციელება, და ასევე, უზრუნველყოს მიღებული გადაწყვეტილებების მაღალი ხარისხი, იმისათვის, რომ გადაწყვეტილებების, როგორც მართლმსაჯულების განხორციელების პროცესის შედეგის მიმართ, იყოს ფართო ნდობა2.
5. ამ დასკვნის მიზანი არ არის ეჭვის შეტანა იმ მთავარი პრინციპის შინაარსში, რომლის მიხედვითაც, სასამართლო გადაწყვეტილებების ხარისხისთვის მნიშვნელოვანია, გადაწყვეტილება მიღებული იყოს უფლებების დასაცავად სამართლით დადგენილი რესურსების ფარგლებში. ეს პრინციპი მოსამართლეების დამოუკიდებლობის კონსტიტუციით დადგენილი გარანტის მთავარი

შედგება, რომელიც მიიხსნება კანონის უზენაესობის მთავარ პრინციპად დემოკრატიულ საზოგადოებაში.

6. ემსს მიიხსნევს, რომ მოსამართლეებს, რომელთა მთავარი ვალდებულება არის ხარისხიანი გადაწყვეტილების მიღება, გააჩნიათ კარგი შესაძლებლობა წამოიწყონ მსჯელობა სასამართლოს გადაწყვეტილებების ხარისხის შესახებ, ასევე, ხარისხის ფაქტორების განსაზღვრის და მათი შეფასების პირობების შესახებ.

7. სასამართლო გადაწყვეტილება უნდა აკმაყოფილებდეს მთელ რიგ მოთხოვნებს, და ამ მოთხოვნებს შეიძლება გააჩნდეთ გარკვეული საერთო პრინციპები, მიუხედავად განსხვავებული მართლსაჯულების სისტემებისა და სხვადასხვა ქვეყანაში სასამართლოების პრაქტიკის სხვადასხვაობისა. აქ ამოსავალი წერტილი არის ის, რომ სასამართლო გადაწყვეტილება ემსსსურება ხოლმე არა მხოლოდ მხარეებს შორის სამართლებრივი დავის გადაწყვეტას, არამედ ასევე, პრეცედენტული სამართლის დამკვიდრებასაც, რამაც შეიძლება მოახდინოს ახალი დავების წარმოქმნის პრევენცია და უზრუნველყოს სოციალური ჰარმონია.

8. მარია ჯულიანა სივინინის ანგარიში, რომელიც ემყარებოდა ემსს-ს წევრების პასუხებს კითხვარზე, ადასტურებს, რომ სახელმწიფოებს გააჩნიათ ფართო შესაძლებლობები სასამართლო გადაწყვეტილებების ხარისხის შესაფასებლად და გასაუჯობებლად. ანგარიშში ასევე, ყურადღება არის გამახვილებული იმაზე, რომ გადაწყვეტილებების ხარისხი დამოკიდებულია სამართლებრივი სისტემის ტრადიციებზე, მაგრამ ყველა ქვეყანას ერთნაირად მოეთხოვება გააუმჯობესოს პირობები მოსამართლეების მიერ ხარისხიანი გადაწყვეტილებების მისაღებად.

9. ცნება „სასამართლო გადაწყვეტილება“ ამ დასკვნაში ნიშნავს კაზუსის ან საკითხის გადაწყვეტას დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ, ადამიანის უფლებათა და ფუნდამენტურ თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მიხედვით, და მოიცავს:

- გადაწყვეტილებებს სამოქალაქო, სოციალურ, სისხლის და ადმინისტრაციულ საქმეებზე;
- პირველი ინსტანციის, სააპელაციო, უზენაესი, საკონსტიტუციო სასამართლოების გადაწყვეტილებებს;
- წინასწარ (შუალედურ) გადაწყვეტილებებს;
- საბოლოო გადაწყვეტილებებს;
- სასამართლოს გადაწყვეტილებებს ან ბრძანებებს, მიღებულს კოლეგიური შემადგენლობით მიერ ან ერთპიროვნულად მოსამართლის მიერ;
- გადაწყვეტილებებს, მიღებულს უმცირესობის მოსაზრების გათვალისწინებით, ან მის გარეშე;
- გადაწყვეტილებებს, მიღებულს პროფესიონალი, არაპროფესიონალი, ან ამ ორი კომპონენტით კომბინირებული სასამართლოს მიერ.

## ნაწილი I. სასამართლო გადაწყვეტილებების ხარისხის განმსაზღვრელი ფაქტორები

### ა. გარეგანი გარემო: კანონმდებლობა, ეკონომიკური და სოციალური კონტექსტი

10. სასამართლო გადაწყვეტილებების ხარისხი დამოკიდებულია არა მარტო მოსამართლის ინდივიდუალურ შეხედულებაზე, არამედ მართლმსაჯულების ადმინისტრირების გარეგნულ მხარეზე, როგორცაა კანონმდებლობის ხარისხი, რომლებიც უზრუნველყოფს სასამართლო

სისტემისათვის გამოყოფილი სახსრების (რესურსების) ადეკვატურობას, და იურიდიული განათლების ხარისხი.

## 1. კანონმდებლობა

11. სასამართლო გადაწყვეტილებები დამყარებულია საკანონმდებლო ორგანოების მიერ მიღებულ კანონებზე, საერთო სამართლის სისტემის ქვეყნებში-სამართალზე და სასამართლო პროცედენტით დამკვიდრებულ პრინციპებზე. სამართლის ეს წყაროები განსაზღვრავენ არა მარტო უფლებებს, მოვალეობებს და პასუხისმგებლობას, არამედ სასამართლო გადაწყვეტილების მიღების პროცედურულ მხარესაც. კანონმდებლების არჩევანს გავლენა აქვს სასამართლოში წარდგენილი საქმეების ტიპსა და მოცულობაზე, ასევე, მათი გადაწყვეტის გზებზე. სასამართლო გადაწყვეტილებების ხარისხზე შეიძლება გავლენა იქონიოს კანონმდებლობის ხშირმა ცვლილებებმა, უხარსხო კანონპროექტებმა, ან კანონებში არსებულმა ბუნდოვანებამ.

12. ემსს მიიჩნევს, რომ სასურველია, პარლამენტმა ზედამხედველობა გაუწიოს თუ რა ზეგავლენის მოხდენა შეუძლია არსებულ კანონმდებლობასა და საკანონმდებლო ინიციატივებს სასამართლო სისტემაზე და მიიღოს ისეთი გარდამავალი და პროცედურული ღონისძიებები, რომ მოსამართლეებმა ასეთი კანონმდებლობის ფარგლებში შეძლონ მაღალი ხარისხის გადაწყვეტილების მიღება. კანონმდებელმა უნდა უზრუნველყოს, რომ კანონმდებლობა იყოს გასაგები და სამოქმედოდ მარტივი, შეესაბამებოდეს ადამიანის უფლებათა და ფუნდამენტურ თავისუფლებათა დაცვის ევროპულ კონვენციას. ასევე, მომავალში კანონის გაგების გაადვილებისათვის კანონპროექტზე ჩატარებული მოსამზადებელი სამუშაოები ადვილად მისაწვდომი და მარტივი ენით უნდა იყოს დაწერილი. ნებისმიერი პროექტი, რომელიც ეხება მართლმსაჯულების ადმინისტრირებას და პროცედურულ საკითხებს, პარლამენტის მიერ მიღებამდე უნდა განიხილოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ ან ეკვივალენტურმა ორგანომ.

13. ხარისხიანი გადაწყვეტილების მიღების უზრუნველყოფისათვის, მოსამართლეებისათვის აუცილებელია კანონით დადგენილ ისეთ საკანონმდებლო და პროცედურულ გარემოში მოქმედება, რაც მათ მისცემთ საშუალებას თავისუფლად მიიღონ გადაწყვეტილებები, ასევე, ეფექტურად გამოყენონ დრო, რაც არის საჭირო საქმის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად. ემსს-მ თავის დასკვნაში (№ 6. 2004) განიხილა „საქმის მართვის“ (ცასე მანაგემენტ)4 შემთხვევები.

## 2. სახსრები (რესურსები)

14. სასამართლო გადაწყვეტილებების ხარისხი პირდაპირ განპირობებულია იმ სახსრებით, რაც გამოიყოფა სასამართლო სისტემისთვის. სასამართლოს არ შეუძლია ეფექტურად მუშაობა არადეკვატური ადამიანური და მატერიალური რესურსებით. ადეკვატური ანაზღაურება მოსამართლისათვის აუცილებელია, რათა დაცული იყოს მოსამართლე და მისი საქმიანობა იმ ზეწოლისაგან, რაც მასზე გავლენის მოხდენას ემსახურებან, უზრუნველყოფილი იყოს მოსამართლედ მხოლოდ საუკეთესო კანდიდატების განწესება. კვალიფიციური ასისტენტების დახმარება დოკუმენტების მოსამზადებლად ასევე განაპირობებს სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილების მაღალ ხარისხს. ასეთი სახსრების (რესურსების) ნაკლებობა განაპირობებს სასამართლო სისტემის მიერ გადაწყვეტილების მაღალი ხარისხის უზრუნველყოფის შეუძლებლობას.

## 3. სასამართლო სისტემის მონაწილეები და სამართლებრივი სწავლება

15. მართლმსაჯულების სისტემის ხარისხი დამოკიდებულია სხვადასხვა მონაწილის ურთიერთქმედებაზე: პოლიცია, პროკურატურა, დამცველები, აპარატი, არსებობის შემთხვევაში ნაფიცი მსაჯულები. მოსამართლე მოთამაშეთა ამ ჯაჭვში მხოლოდ ერთ-ერთ რგოლს წარმოადგენს და თანაც არაა აუცილებელი იგი საბოლოო რგოლი იყოს, ვინაიდან აღსრულებაც თანაბარ მნიშვნელოვანი საკითხია. თუნდაც თუ მოვახდენთ კონცენტრაციას სასამართლოს

გადაწყვეტილების ხარისხზე, ზემოთმულიდან გამომდინარე ჩვენ ვასკენით, რომ მოსამართლის მონაწილეობა არის სასამართლო გადაწყვეტილების ხარისხის განმსაზღვრელი მთავარი, მაგრამ არა ერთადერთი ფაქტორი.

16. სასამართლო გადაწყვეტილების ხარისხი სხვა ფაქტორებთან ერთად დამოკიდებულია ასევე მართლსაჯულების პროცესში მონაწილე პირების სამართლებრივ განათლებაზე. ემსს-ს სურვილია სამართლებრივი განათლებისა და თრენინგების მნიშვნელოვნების ხაზგასმა.

17. ზემოთქმული, განსაკუთრებით მოსამართლეებთან მიმართებაში, გულისხმობს კარიერის დასაწყისში მაღალი ხარისხის სამართლებრივი განათლების არსებობას<sup>7</sup>, ასევე შემდგომში მუდმივი თრენინგების ჩატარებას პროფესიული ტექნიკის განვითარებისთვის. ეს სწავლება უნდა შეეხებოდეს მოსამართლეების მომზადებას შიდა კანონმდებლობის და საერთაშორისო სამართლის ცვლილებების სფეროში, ასევე, ისეთ დამხმარე არასამართლებრივ უნარებსა და ჩვევებში, რაც გააადვილებს მათ მიერ მათ წინაშე არსებული საკითხების გაგებას.

18. მოსამართლეებისათვის ასევე მნიშვნელოვანია სწავლება ეთიკისა და საკომუნიკაციო უნარ-ჩვევების თვისებების შესახებ, რაც მნიშვნელოვანია მხარეებთან, საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობისათვის. თანაბრად მნიშვნელოვანის ორგანიზაციული შესაძლებლობების განვითარება საქმის მოსამზადებლად და მართვისათვის (მაგალითად, კომპიუტერული ტექნიკის გამოყენება, საქმეთა ნაკადის მართვა, მუშაობის ტექნიკა, მოსამართლეების მიერ გადაწყვეტილებების წერის ტექნიკა გადაწყვეტილებების პროექტების გამოყენების ჩათვლით, ჩვეულებრივ მოსამართლეების ინდივიდუალური სტილის მიხედვით არჩევანის შესაძლებლობით), რისი საბოლოო მიზანიც არის სასამართლო საქმეების მართვის უზრუნველყოფა უსარგებლო დაყოვნებების და დაბრკოლებების გარეშე.

19. სასურველია სასამართლოს ხელმძღვანელებმა გაიარონ სწავლება ადამიანური რესურსების მართვის სფეროში, საქმეების ნაკადის მართვის სტრატეგიულ დაგეგმვასა და მართვაში, საბიუჯეტო და საფინანსო რესურსების ეფექტურ დაგეგმვასა და მართვაში. ადმინისტრაციული პერსონალი და თანამშემწეები უნდა ერკვეოდნენ საქმის სწორად განვითარების საკითხებში, როგორებიც არის საქმის მომზადება განსახილველად, ზედამხედველობის გაწევა საქმეების დაუბრკოლებელი მსვლელობისათვის (მაგალითად, კომპიუტერული ტექნიკის გამოყენებით საქმის და დროის მართვის ტექნიკა, გადაწყვეტილებების პროექტების გამოყენება, უცხოური ენების ფლობა, კომუნიკაცია მხარეებთან და საზოგადოებასთან და სამართლებრივი კვლევების გამოყენება). ეს უზრუნველყოფს მოსამართლეების გათავისუფლებას ადმინისტრაციული და ტექნიკური ვალდებულებებისაგან და მათ ყურადღებას გადაიტანს ინტელექტუალურ ასპექტებზე, პროცესის მართვასა და გადაწყვეტილების მიღებაზე.

## **ბ. შინაგანი გარემო: პროფესიონალიზმი, პროცესი, განხილვა და გადაწყვეტილება**

20. სასამართლო გადაწყვეტილებების მახასიათებლები დამოკიდებულია ასევე შიდა ისეთ ფაქტორებზე, როგორიც არის მოსამართლის პროფესიონალიზმი, საქმეთა ნაკადის მართვა, ზეპირი განხილვა და გადაწყვეტილებისათვის დამახასიათებელი ელემენტები.

### **1. მოსამართლეების პროფესიონალიზმი**

21. მოსამართლეების პროფესიონალიზმი მთავარი გარანტიაა მაღალი ხარისხის სასამართლო გადაწყვეტილების მისაღებად. ამას განაპირობებს მოსამართლეების სამართლებრივი მომზადების მაღალი დონე, რომლის პრინციპებიც განსაზღვრულია ემსს-ს 2003 წლის № 4 და 2006 წლის № 9 დასკვნებით, ასევე დამოუკიდებლობის კულტურის განვითარება, ეთიკა და დეონტოლოგია (2001 წლის № 1 და 2002 წლის № 3 დასკვნები).

22. სასამართლო გადაწყვეტილებაში გათვალისწინებული შეიძლება იყოს არა მარტო სამართლებრივი მხარე, ასევე, დავის შინაარსიდან გამომდინარე ისეთი არასამართლებრივი

კომპონენტები, როგორებიც არის ეთიკური, სოციალური და ეკონომიკური მოსაზრებები. ეს მოითხოვს, რომ მოსამართლემ იცოდეს ასეთი მოსაზრებების შესახებ საქმის გადაწყვეტისას.

23. მოსამართლეთა საქმიანობის შეფასების პროცედურისა და მათი მეთვალყურეობის (გივინგ გუიდანცე) ნორმების არსებობა სასამართლო ხელისუფლების ხელმძღვანელობის მხრიდან გააუმჯობესებს მოსამართლეთა კომპეტენციას და სასამართლო გადაწყვეტილების ხარისხს.

## **2. საქმის ნაკადის მართვა და საამისო პროცედურები**

24. იმისათვის, რომ შედეგი მაღალი ხარისხის სასამართლო გადაწყვეტილების სახით მისაღები იყოს მხარეებისათვის და საზოგადოებისათვის, პროცედურა უნდა იყოს ნათელი, გამჭვირვალე და აკმაყოფილებდეს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მოთხოვნებს.

25. მაგრამ მხოლოდ ამ მოთხოვნების შესატყვისი საპროცესო კანონდებლობის ქონა არ არის საკმარისი. ემს-ს თვლის, რომ მოსამართლემ საქმის განხილვა უნდა წარმართოს აქტიურად და კანონის ზუსტი დაცვით (აცცურატელე). პროცესის ჯეროვანი წარმართვა არსებითად მნიშვნელოვანია საბოლოო პროდუქტის - გადაწყვეტილების მაღალი ხარისხის უზრუნველსაყოფად.

26. გადაწყვეტილება გამოტანილია თუ არა გონივრულ ვადაში ეს გარემოებაც მნიშვნელოვანი ელემენტია გადაწყვეტილების ხარისხისთვის. ამასთან, შეიძლება წარმოიშვეს გარკვეული კონფლიქტი სისწრაფესა და ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-6 მუხლით დაცულ სამართლიანი სასამართლოსათვის დამახასიათებელ სხვა ელემენტებს შორის. ვინაიდან ძალზედ მნიშვნელოვანია სოციალური ჰარმონიისა და სამართლებრივი სიცხადის (ლეგალ ცერტაინტე) დაცვა, დროის ელემენტიც მხედველობაში უნდა იყოს მიღებული, მაგრამ დრო არ არის ერთადერთი ფაქტორი რაც მხედველობაში უნდა იყოს მიღებული. ემს-ს 2004 წლის № 6 დასკვნაში ხაზგასმულია, რომ მართლმსაჯულების „ხარისხი“ არ შეიძლება გათანაბრებული იყოს უბრალო „პროდუქტიულობასთან“. ხარისხისადმი მიდგომამ უნდა გაითვალისწინოს სასამართლო სისტემის შესაძლებლობები გადაჭრას მის წინაშე მდგარი საკითხები სისტემის ზოგადი მიზნების შესაბამისად, სადაც სისწრაფე მხოლოდ ერთ-ერთ ელემენტს შეადგენს.

27. ზოგიერთ ქვეყანაში დამკვიდრდა საქმეთა ნაკადის მართვისა და საქმეთა ზეპირი განხილვის კარგი პრაქტიკის (გოოდ პრაქტიცეს) სტანდარტული მოდელები. ასეთი წამოწყებები უნდა წახადისდეს, რათა ხელი შეეწყოს მოსამართლეთა მიერ საქმეთა ნაკადის კარგად მართვას.

28. ასევე, მნიშვნელოვანია კონსულტაციები მოსამართლეებს შორის, სადაც მოხდება ინფორმაციისა და გამოცდილების გაცვლა. ეს შესაძლებლობას მისცემს მოსამართლეებს განიხილონ საქმეთა ნაკადის მართვის საკითხები, კანონმდებლობის გამოყენების დროს არსებული სიძნელეები, თავიდან აიცილონ შესაძლო კონფლიქტები პრეცედენტულ სამართალში (ცასე ლაწ).

## **3. ზეპირი მოსმენა**

29. საქმის ზეპირი მოსმენა უნდა შეესაბამებოდეს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ყველა მოთხოვნას, რითაც უზრუნველყოფილი იქნება ის, რომ მხარეებმა და საზოგადოებამ მიიღონ ჯეროვანად განსაზღვრული და სამართლიანი სასამართლოს მინიმალური სტანდარტები. ზეპირი მოსმენის ჯეროვანად წარმართვას პირდაპირი გავლენა ექნება საბოლოო გადაწყვეტილების მხარეებისა და საზოგადოების მიერ გავგებასა და მათ მიერ ამ გადაწყვეტილების მიღებაზე (აცცეპტანცე). ზეპირი მოსმენის ჯეროვანად წარმართვა ასევე მოსამართლესაც მისცემს საქმის სწორად შეფასების შესაძლებლობას, რასაც გააჩნია არსებითი მნიშვნელობა გადაწყვეტილების ხარისხზე. ზეპირი განხილვა უნდა ჩატარდეს მაშინაც, როცა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი ადგენს მისი ჩატარების აუცილებლობას.

30. გამჭვირვალობა და ღია განხილვა შეჯიბრებითობის და მხარეების თანასწორობის პრინციპებთან ერთად აუცილებელი წინაპირობებია იმისათვის, რომ გადაწყვეტილება მიღებულ იქნეს როგორც მხარეების, ასევე საზოგადოების მიერ.

#### 4. გადაწყვეტილებისათვის დამახასიათებელი ელემენტები

31. იმისათვის, რომ გადაწყვეტილება იყოს ხარისხიანი, იგი მიღებული უნდა იყოს მხარეების და საზოგადოების მიერ. გადაწყვეტილების შედეგი უნდა იყოს სამართლებრივი ნორმების სწორი განმარტების, სამართლიანი პროცესის და ფაქტების სწორი განვითარების, ასევე უნდა შეიძლებოდეს ცხოვრებაში გატარება. მხოლოდ ამის შემდეგ ჩათვლის მხარე რომ მისი საქმე იყო სწორად განხილული და საზოგადოება გადაწყვეტილებას მიიღებს, როგორც სოციალური ჰარმონიის დამყარების შესაძლებლობას. ამ შედეგის მისაღწევად, საჭიროა რამდენიმე მოთხოვნის შესრულება.

##### ა. განსაზღვრულობა

32. ყველა სასამართლო გადაწყვეტილება უნდა იყოს გასაგები, ჩამოყალიბებული ნათელი და გასაგები ენით, ეს არის წინაპირობა იმისათვის, რომ გადაწყვეტილება გაგებულ იყოს როგორც მხარეების ისე საზოგადოების მიერ. ეს მიზანი მოითხოვს იმას, რომ გადაწყვეტილება თანამიმდევრულად იყოს დასაბუთებული ნათელი სტილით ყველასთვის გასაგები სახით<sup>10</sup>.

33. თითოეულ მოსამართლეს შეუძლია აირჩიოს გადაწყვეტილების პერსონალური სტილი და სტრუქტურა ან არსებობის შემთხვევაში გამოიყენოს სტანდარტული მოდელები. ემსს-ს რეკომენდაციის თანახმად, სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლებმა სასურველია შეაგროვონ კარგი პრაქტიკის ამსახველი ჩანაწერები (ცომპენდიუმ ოფ გოოდ პრაქტიცეს), რაც გაადვილებს გადაწყვეტილების პროექტის მომზადებას.

##### ბ. დასაბუთება

34. სასამართლო გადაწყვეტილება ძირითადად დასაბუთებული უნდა იყოს<sup>11</sup>. გადაწყვეტილების ხარისხი უმთავრესად მის დასაბუთებულობაზე დამოკიდებული. ჩვეულებრივ, დასაბუთებულობა იმპერატიულად სავალდებულოა, და იგი არ უნდა იყოს უგულვებელყოფილი სიჩქარის გამო. ჯეროვანი დასაბუთების მომზადება საჭიროებს შესაბამის დროს მოსამართლისაგან.

35. დასაბუთება აუცილებელია არა მარტო იმისათვის, რომ მხარეების მიერ გაგებულ იყოს გადაწყვეტილება, ასევე იმისათვისაც, რომ თავიდან ავიცილოთ თვითნებური გადაწყვეტილების მიღება. ეს პრინციპი პირველ რიგში ავალდებს მოსამართლეს უპასუხოს მხარეთა მოსაზრებებს და დააკონკრეტოს ის არგუმენტები, რაც ამართლებს გადაწყვეტილებას და მას კანონიერ გადაწყვეტილებად გახდის. მეორე რიგში, ეს პრინციპები ხელს უწყობენ საზოგადოებისათვის სასამართლო სისტემის ფუნქციონირებას სწორად აღქმას.

36. არგუმენტები უნდა იყოს თანამიმდევრული, ნათელი, არაორაზროვანი, არაწინააღმდეგობრივი. მკითხველს უნდა შეეძლოს მიეყვას იმ დასაბუთების განვითარების ჯაჭვს, რამაც განაპირობა ასეთი გადაწყვეტილების მიღება.

37. დასაბუთებამ უნდა გამოხატოს მოსამართლის მიერ ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის პრინციპების დაცვა (დაცვის უფლება, სამართლიანი სასამართლოს უფლება). ისეთ დროებით გადაწყვეტილებებში, რომლებიც ეხებიან პიროვნების თავისუფლებებს (პატიმრობის საფუძველი), ან შეიძლება გავლენა ჰქონდეს პირთა ქონებრივ ან სხვა უფლებაზე (დროებითი მეურვეობა ბავშვებზე, ან პრევეციული დაყადაღება ქონების ან დაყადაღება საბანკო ანგარიშების), სავალდებულოა შესაფერისი დასაბუთება.

38. დასაბუთება (არგუმენტების მოყვანა) უნდა ემყარებოდეს მხარის მიერ წარმოდგენილ მოსაზრებებს, რაც აისახება მათ სარჩელებსა და მათ შესაგებლებში. ეს აუცილებელი

გარანტიია იმისა, რომ მხარეები დარწმუნდნენ, რომ სასამართლომ იმსჯელა მათ მოთხოვნებზე და მიიღო ისინი მხედველობაში. დასაბუთებაში არ უნდა იყოს მხარის შეურაცხყოფელი ან დამამცირებელი შენიშვნები.

39. მოსამართლეების მიერ საკუთარი შინაგანი რწმენის მიხედვით მოქმედებისათვის რაიმე ზიანის მიუყენებლად მოსამართლეებმა უნდა უპასუხონ მხოლოდ იმ განკუთვნიებულ არგუმენტებს, რომელთაც გაეღენა აქვს დავის გადაწყვეტაზე.

40. არ არის აუცილებელი დასაბუთება იყოს გრძელი, არამედ უნდა მოიძებნოს ჯეროვანი ბალანსი მცირე მოცულობასა (ცონცისენსს) და გადაწყვეტილების გასაგებობას შორის.

41. სასამართლოს მიერ დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღების ვალდებულება არ გულისხმობს მხარის მიერ დავის საგნის დასაცავად მოყვანილი ყველა არგუმენტისათვის პასუხის გაცემას. დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოტანის ვალდებულება შეიძლება განსხვავდებოდეს გადაწყვეტილების სასიათიდან (არსიდან) გამომდინარე. ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით<sup>12</sup>, გადაწყვეტილების დასაბუთებულობის მოცულობა დამოკიდებულია მხარეების მიერ მოყვანილ არგუმენტებზე, ისევე როგორც სამართლებრივ ნორმებზე, ჩვეულებებზე და დოქტრინალურ პრინციპებზე, ასევე, სხვადასხვა ქვეყანაში გადაწყვეტილების შედგენის არსებულ პრაქტიკაზე. სამართლიანი სასამართლოს პრინციპის უზრუნველსაყოფად, დასაბუთებამ უნდა დაადასტუროს, რომ მოსამართლემ შეისწავლა მისთვის წარდგენილი ის ყველა ძირითადი საკითხი<sup>13</sup>, რომელიც მას მხარეებმა წარუდგინეს. ნაფიცი მსაჯულების სასამართლოს შემთხვევაში, მოსამართლის ვალდებულებაა გასაგებად აუხსნას ნაფიცი მსაჯულებს გადასაწყვეტ საქმესთან დაკავშირებული ფაქტები და საკითხები.

42. შინაარსის მხრივ სასამართლო გადაწყვეტილება მოიცავს ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებს, რრომელიც განსახილველ დავას უდევს საფუძვლად.

43. ფაქტობრივი გარემოებების განხილვისას, მოსამართლემ შეიძლება იმსჯელოს მტკიცებულებათა დასაშვებობაზე. მოსამართლემ ასევე შეიძლება შეაფასოს ფაქტობრივი გარემოებების დამადასტურებელი მტკიცებულების მნიშვნელობა დავასთან განკუთვნიებადობის თვალსაზრისით.

44. სამართლებრივი საკითხების განხილვა გულისხმობს ეროვნული სამართლის, ევროპის სამართლის<sup>14</sup>, საერთაშორისო სამართლის<sup>15</sup> ნორმების გამოყენებას. დასაბუთება უნდა ასახავდეს კონსტიტუციას, ეროვნულ კანონმდებლობას, ევროპულ და საერთაშორისო სამართალს. სადაც მისაღებია იგი შეიძლება ასახავდეს, ეროვნულ, ევროპულ და საერთაშორისო პრეცედენტულ სამართალს, სხვა ქვეყნის სასამართლოების მიერ პრეცედენტული სამართლის შესახებ მიღებული რეკომენდაციების ჩათვლით, ასევე, რეკომენდაციებს სამართლებრივი ლიტერატურიდან, რაც შეიძლება იყოს სასარგებლო, ხოლო საერთო სამართლის ქვეყნებში - სავალდებულო.

45. საერთო სამართლის ქვეყნებში, უფრო მაღალი საფეხურის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები სავალდებულოა, ვინაიდან ადგენს დავის გადაწყვეტის ერთიან წესს. იმ ქვეყნებში, სადაც არის სამოქალაქო კანონმდებლობა, გადაწყვეტილებებს არ აქვთ ასეთი ეფექტი, მაგრამ შეუძლიათ გააუწიონ ხელმძღვანელობა მოსამართლეებს ასეთივე საქმის, სოციალური, სამართლებრივი საკითხების გადასაწყვეტად. ამრიგად, გადაწყვეტილების დასაბუთება უნდა ემყარებოდეს სამართლებრივი საკითხების დეტალურ შესწავლას და დაწერილ უნდა იქნეს განსაკუთრებული გულისხმიერებით, რათა მოიპოვოს მხარეებისა და საზოგადოების პატივისცემა.

46. ბევრ შემთხვევაში, სამართლებრივი საკითხების შესწავლა გულისხმობს სამართლებრივი ნორმის განმარტებას.

47. ვადიარებთ რა მოსამართლის მიერ სამართლის ნორმის განმარტების უფლებას, მნიშვნელოვანია გვახსოვდეს ასევე სამართლის სიცხადის ხელშეწყობის აუცილებლობა. რასაკვირველია სამართლებრივი სიცხადე წარმოადგენს სამართლის ნორმის გაჭვრეტადობისა და გამოყენების გარანტიას და ამგვარად ხელს უწყობს მაღალი დონის სამართლებრივი სისტემის შექმნას.

48. მოსამართლეებს შეუძლიათ გამოიყენონ განმარტების ის პრინციპები, რომლებიც გამოიყენება როგორც ეროვნული, ისე საერთაშორისო კანონმდებლობის მიმართ. საერთო სამართლის ქვეყნებში ასევე შეიძლება ასეთი შინაარსის პრეცედენტის გამოყენება. იმ ქვეყნებში, სადაც არის სამოქალაქო კანონმდებლობა, შეიძლება პრეცედენტების გამოყენება, განსაკუთრებით უმაღლესი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული, პრეცედენტებისა სამართლის ერთგვაროვნების უზრუნველსაყოფად.

49. მოსამართლეებმა კანონმდებლობა უნდა გამოიყენონ თანმიმდევრულად. როდესაც სასამართლო გადაწყვეტს გადაუხვიოს წინა პრეცედენტს (ვასე ლაწ), ეს უნდა იყოს ცხადად ახსნილი გადაწყვეტილებაში. გამონაკლის შემთხვევაში შესაძლებელია ასევე მითითება, რომ ახალი განმარტება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ პერიოდიდან ან გადაწყვეტილებაში მითითებული დროიდან გარკვეული დროის განმავლობაში.

50. ზემდგომ სასამართლოში შესული საქმეების ოდენობამ შეიძლება გავლენა იქონიოს მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილების ხარისხზე და სისწრაფზე. ემსს-ს რეკომენდაციას, რომ არსებობდეს მექანიზმი, თითოეული ქვეყნის სამართლებრივი ტრადიციების გათვალისწინებით, უმაღლესი სასამართლოსადმი მისაწვდომობის რეგულირების მოწესრიგებასთან დაკავშირებით.

## **გ. განსხვავებული აზრი**

51. ზოგიერთ სახელმწიფოში შეიძლება მოსამართლეებმა გამოხატონ თანხმდები ან განსხვავებული მოსაზრებები. განსხვავებული მოსაზრება გამოქვეყნდება უმრავლესობის მოსაზრებასთან ერთად. მოსამართლეები აფიქსირებენ მთლიანად ან ნაწილობრივ წინააღმდეგობას გადაწყვეტილების მიმართ, ასევე წინააღმდეგობის მიზეზებს, უნდა დაეყრდნონ ან შეუძლიათ დაეყრდნონ სხვა საფუძვლებს და არა იმას, რაც უმრავლესობის მოსაზრებაშია ასახული. ეს ხელს შეუწყობს გადაწყვეტილების შინაარსის გაუმჯობესებას, გააადვილებს გაგებას და განაპირობებს სამართლის განვითარებას.

52. განსხვავებული მოსაზრება უნდა იყოს სათანადოდ დასაბუთებული, ასახავდეს მოსამართლის შეხედულებებს ფაქტებისა და სამართლის შესახებ.

## **დ. აღსრულება**

53. სასამართლოს ნებისმიერი გადაწყვეტილება უნდა იყოს დაწერილი მარტივი და არაორაზროვანი ენით, ისე, რომ შესაძლებელი გახდეს მისი შესრულება, ხოლო თუ გადაწყვეტილება შეეხება რაიმე მოქმედების შესრულებას ან რაიმეს გადახდას - ადვილად აღსრულებადი.

54. ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს განმარტებების თანახმად, სამართლიანი სასამართლოს უფლება, რომელიც დაცულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით, ითვალისწინებს არა მხოლოდ გადაწყვეტილების მიღებას გონივრულ დროში, არამედ აგრეთვე იმას, რომ გადაწყვეტილება ეფექტურად აღსრულდეს მოგებული მხარის სასარგებლოდ. კონვენცია არ ითვალისწინებს ადამიანის უფლებების მხოლოდ თეორიულად დაცვას, არამედ მიზნად ისახავს, რომ კონვენციის კონვენციით განსაზღვრულმა დაცვამ პრაქტიკული შედეგი მოიტანოს.

55. გადაწყვეტილებას უნდა გააჩნდეს შემდეგი მახასიათებლები:



1) ტექსტი რედაქციულად ისე უნდა იყოს ჩამოყალიბებული, რომ შესაძლებელი იყოს აღსრულება. ეს იმას ნიშნავს, რომ გადაწყვეტილებაში სასამართლოს მიერ დაკისრებული სასჯელი, ვალდებულება ან ბრძანება ნათლად და ყოველგვარი ბუნდოვანების გარეშე იყოს მოცემული. ბუნდოვანი გადაწყვეტილება, რომლის ინტერპრეტაციაც სხვადასხვაგვარად შეიძლება, ასუსტებს მართლსაჯულების განხორციელების მთელი პროცესის ეფექტურობას.

2) შესაძლებელი უნდა იყოს გადაწყვეტილების სათანადოდ შესრულება არსებული აღსრულების სისტემის ფარგლებში ანუ რამდენად ეფექტურად აღსრუდება გადაწყვეტილება. სხვადასხვა სამართლებრივი სისტემები ითვალისწინებენ გადაწყვეტილებების აღსრულების შეჩერებას და გადადებას, რაც ზოგიერთი საქმის შემთხვევაში ნამდვილად გამართლებულია. მაგრამ ზოგჯერ აღსრულების შეჩერებას ან გადადებას შეიძლება გააჩნდეს ტაქტიკური მიზანი, რამაც შეიძლება გამოიწვიოს მართლსაჯულების განხორციელების პროცესის პარალიზება და სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებლობა. მართლსაჯულების განხორციელების პროცესის ეფექტურობისათვის საჭიროა ყველა სამართლებრივ სისტემას გააჩნდეს პირობითი აღსრულების პროცედურები<sup>16</sup> (პროცედურეს ფორ პროვისიონალ ენფორცემენტ).

56. მაღალი ხარისხის გადაწყვეტილება (არა სისხლის სამართლის საქმეებზე) შეიძლება სრულიად უსარგებლო აღმოჩნდეს თუ შეუძლებელი იქნება მისი მარტივი და ეფექტური პროცედურით აღსრულება. მნიშვნელოვანია, რომ აღსრულების პროცედურა სასამართლოს ზედამხედველობის ქვეშ მიმდინარეობდეს, რათა მოსამართლეებმა მოახდინონ გადაწყვეტილების შესრულებასთან დაკავშირებული სირთულეების გადაწყვეტა, ისეთი ეფექტური პროცედურის გამოყენებით, რაც დამატებით ხარჯებს არ დააკისრებს მხარეებს.

## **ნაწილი II. სასამართლო გადაწყვეტილების ხარისხის შეფასება**

57. ემსს ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ინდივიდუალური სასამართლო გადაწყვეტილების ხარისხი ძირითადად კონტროლდება სააპელაციო წესით გასაჩივრების მეთოდით ან გადასინჯვის მეთოდით მართლსაჯულების ეროვნულ სისტემებში და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსადმი მიმართვის უფლების ხელმისაწვდომობით. სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ მათი ეროვნული პროცედურები აკმაყოფილებდნენ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მოთხოვნებს.

### **ა. შეფასების არსი**

58. 90-იანი წლებიდან არსებობს მზარდი ტენდენცია, რომ მხოლოდ სასამართლო გადაწყვეტილების ხარისხი სწორად ვერ შეფასდება მხოლოდ გადაწყვეტილებით მოწესრიგებული სამართლებრივი საკითხის შეფასებით. როგორც წინამდებარე დასკვნის პირველ ნაწილში აღინიშნა, გადაწყვეტილების მომზადების ეტაპის ხარისხი ზეგავლენას ახდენს სასამართლო გადაწყვეტილების ხარისხზე, და ამდენად, უნდა შეფასდეს სამართლებრივი სისტემა მთლიანად. მაგრამ სასამართლოს მომხმარებელთა თვალთახედვით მხოლოდ გადაწყვეტილების ხარისხი სტრიქტო სენსუ არ არის ერთადერთი მნიშვნელოვანი ელემენტი. ყურადღება უნდა მიექცეს ასევე საქმეთა ოდენობა, გამჭვირვალებას, პროცესის მართვას, ასევე, მოსამართლის მიერ მხარეებთან კომუნიკაციას, სასამართლოს საზოგადოებასთან ურთიერთობას.

59. ემსს აღნიშნავს, რომ სასამართლო გადაწყვეტილების ხარისხის შეფასების მეთოდებმა არ უნდა იქონიოს ზეგავლენა სასამართლოს დამოუკიდებლობაზე.

60. სასამართლო გადაწყვეტილების ხარისხის შეფასება უნდა შეესაბამებოდეს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პრინციპებს. შეფასება არ უნდა განხორციელდეს მხოლოდ ეკონომიკური და მენეჯერული მეთოდების ჭრილში. ეკონომიკური და მენეჯერული მეთოდები მეტად ფრთხილად უნდა იქნეს გამოყენებული. მართლსაჯულების დანიშნულება სამართლის გამოყენება და ცხოვრებაში გატარებაა და ეს საქმიანობა მარტოოდენ ეკონომიკური ეფექტურობით ვერ შეფასდება.

61. ხარისხის შეფასების ყველა სისტემა უნდა იყოს მიმართული სასამართლო გადაწყვეტილებების ხარისხის გაუმჯობესებაზე და თავად არ უნდა იქცეს ბიუროკრატიულ მექანიზმად. იგი არ შეიძლება იყოს მართლსაჯულების სისტემის გარედან კონტროლის ინსტრუმენტი.

62. ემსს-ს ხაზს უსვამს, რომ მართლმსაჯულების ხარისხის შეფასებისას, როცა ხდება კონკრეტული სასამართლოს ან სასამართლოთა ჯგუფის შეფასება ეს არ უნდა აფუროთ ინდივიდუალური მოსამართლეების პროფესიული შეფასებაში<sup>17</sup>.

63. შეფასების მიზანი, სხვათაგან ერთად, უნდა იყოს საჭიროებების განსაზღვრა, კანონმდებლობის გამოსწორება, მართლსაჯულების განხორციელების პროცესის გაუმჯობესება და შეცვლა, მოსამართლეებისა და სასამართლოს თანამშრომლების სწავლება.

64. შეფასების საგანი, მეთოდი და პროცედურა უნდა განისაზღვროს სათანადოდ და იყოს გასაგები. ამასთანავე, ისინი უნდა განისაზღვროს თავად მოსამართლეების მიერ ან მათთან მჭიდრო თანამშრომლობით.

65. შეფასება უნდა იყოს გამჭვირვალე. პერსონალური მონაცემები და მოსამართლეების იდენტიფიკაციის შესაძლებლობები უნდა დარჩეს კონფიდენციალური.

66. სასამართლო გადაწყვეტილებების ხარისხის შეფასება არ გულისხმობს მოსამართლეების მიერ საქმეების ერთნაირად გადაწყვეტას, ყოველი საქმისათვის დამახასიათებელი ინდივიდუალური თავისებურებების გაუთვალისწინებლად.

67. სასამართლო გადაწყვეტილების ნებისმიერი შეფასების პროცესის დროს მხედველობაში უნდა იყოს მიღებული სხვადასხვა ტიპისა და დონის სასამართლოს თავისებურებები, საქმეთა განსხვავებული ხასიათი და მათ გადასაწყვეტად აუცილებელი განსხვავებული უნარები და ცოდნის დონე.

## **ბ. შეფასების მეთოდები (იმ ორგანოთა ჩათვლით, რომელთაც ევალება სასამართლო გადაწყვეტილებების ხარისხის შეფასება)**

68. ემსს მიიჩნევს (რაოდენობრივი და ხარისხობრივი სტატისტიკის გამოყენებასთან დაკავშირებით), რომ სასურველია შეფასებისთვის გამოყენებული უნდა იყოს სხვადასხვა მეთოდები, რომლებიც ასახავენ ხარისხის სხვადასხვა მაჩვენებლებს და ემყარებიან ინფორმაციის მრავალმხრივ წყაროებს. არ უნდა მიენიჭოს ერთ მეთოდს სხვებზე მეტი უპირატესობა. შეფასების მეთოდების ეფექტურობა უნდა ემყარებოდეს მათ მეცნიერულ დასაბუთებულობას, ცოდნასა და სიფრთხილეს და უნდა იყოს მეტად გამჭვირვალე. შეფასების სისტემამ არ უნდა დააყენოს ეჭვქვეშ გადაწყვეტილების კანონიერება.

69. ემსს-ს თვლის, რომ სახელმწიფოები არ არიან ვალდებული გამოიყენონ შეფასების ეთვაროვანი სისტემები და მეთოდოლოგიური მიდგომები, და მიუხედავად იმისა, რომ წინამდებარე დასკვნის მიზანს არ წარმოადგენს ის, რომ შეფასების რომელიმე სისტემაზე რაიმე მოსაზრება გამოხატოს, მაინც შესაძლებელია, რომ ეროვნული გამოცდილების საფუძველზე შერჩეული იქნეს ყველაზე უფრო მისაღები შეფასების სისტემა.

## **1. მოსამართლეების მიერ თვითშეფასება და სხვა სუბიექტების მიერ მართლსაჯულების სისტემის შეფასება**

70. ემსს მხარს უჭერს მოსამართლეების მიერ თვითშეფასებას, ემსს ასევე მხარს უჭერს, სხვა პირების მონაწილეობას (ადვოკატები, პროკურორები, სამართლის ფაკულტეტის პროფესორები, მოქალაქეები, ეროვნული თუ საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები) შეფასების პროცესში, იმის გათვალისწინებით, რომ დაცული იყოს სასამართლოს სრული დამოუკიდებლობა. ასეთი გარეშე შეფასების მიზანი არ უნდა იყოს სასამართლო სისტემის

დამოუკიდებლობის დათმობა ან მართლსაჯულების სისტემის ერთიანობის დარღვევა. სასამართლოს გადაწყვეტილებების შეფასების უპირველესი მეთოდი არის დროული და ეფექტური სააპელაციო გასაჩივრების პროცედურის არსებობა.

71. პრეცედენტული სამართლით, სასამართლო პრაქტიკით და ყოველწლიური ანგარიშებით ზემდგომ სასამართლოებს შეუძლიათ ხელი შეუწყონ სასამართლო გადაწყვეტილებების ხარისხის ამაღლებას და მათ შეფასებას. ამისათვის მეტად მნიშვნელოვანია, რომ პრეცედენტული სამართალი იყოს გასაგები, თანმიმდევრული და სტაბილური. ასევე, ზემდგომ სასამართლოებს სასამართლო გადაწყვეტილების ხარისხის გასაუმჯობესებლად შეუძლიათ შექმნან სახელმძღვანელოები (გუიდლინეს) ქვემდგომი სასამართლოებისათვის, სადაც ყურადღება იქნება გამახვილებული გამოსაყენებელ პრინციპებზე, შესაბამის პრეცედენტულ სამართალზე მითითებით.

## 2. სტატისტიკური მეთოდები

72. რაოდენობრივი სტატისტიკური მეთოდები საშუალებას იძლევა შეგროვებულ იქნეს სასამართლოს სტატისტიკა (მიმდინარე საქმეების სტატისტიკა, წარმოებაში მიღებული და დამთავრებული საქმეების სტატისტიკა, მოსმენების რაოდენობა, საქმეების ხანგრძლივობის სტატისტიკა და ა.შ.). სასამართლოების მუშაობის რაოდენობრივი შეფასება არის საზომი სასამართლოს შესაძლებლობებისა გაითვალისწინოს მოქალაქეთა საჭიროებები. ეს შესაძლებლობა კი წარმოადგენს მართლმსაჯულების ხარისხის ერთერთ მაჩვენებელს. ეს მეთოდი განსაზღვრავს სასამართლოს საქმიანობის რაოდენობივ მხარეს, მაგრამ ვერ ადგენს არიან თუ არა მიღებული გადაწყვეტილებები სათანადო ხარისხის. გადაწყვეტილების შინაარსი დამოკიდებულია ინდივიდუალური საქმის ხარისხზე. მაგალითად, მოსამართლემ შეიძლება გამოიტანოს უამრავი ერთმანეთის მსგავსი გადაწყვეტილება მცირე მნიშვნელობის მქონე საქმეებზე. სტატისტიკა არ არის ყოველთვის ზუსტი მაჩვენებელი ყოველ სიტუაციაში და ყოველთვის უნდა განვიხილოთ იგი კონტექსტში სხვა მაჩვენებლებთან ერთად. მიუხედავად ამისა, ეს მეთოდი საშუალებას გვაძლევს შევაფასოთ საქმეების განხილვა ვადებში ან არის თუ არა დიდი ნაშთი რაც შეიძლება ამართლებდეს დამატებითი რესურსების გამოყოფას ან ზომების მიღებას ნაშთის შესამცირებლად ან აღმოსაფხვრელად.

73. ხარისხობრივი სტატისტიკური მეთოდების გამოყენებისას გადაწყვეტილებები დახარისხებულია ტიპების, საგნისა და სირთულის მიხედვით. ეს მეთოდი აადვილებს შრომის სწორად განაწილებას, განსაზღვრავს სასამართლოს მიერ სწორ და ეფექტურ შრომის მინიმალურ და მაქსიმალურ განაწილებას. ამ მიდგომის თავისებურება ისაა, რომ იგი ითვალისწინებს კონკრეტული საქმეების სპეციფიკას, და დავის ტიპს, რათა განასხვავოს ის შემთხვევები, როცა შეიძლება რაოდენობრივად ცოტა საქმე იქნა განხილული, მაგრამ ეს დროის მნიშვნელოვან ოდენობასთან იყო დაკავშირებული. ასევე მხედველობაში არის მისაღები, რომ ხარისხობრივი სტატისტიკის მეთოდის გამოყენების დროს სირთულე იმაშია, რომ განისაზღვროს თუ რომელი ფაქტორი უნა იქნეს მხედველობაში მიღებული და რომელი ორგანოა კომპეტენტური განსაზღვროს ამგვარი ფაქტორები.

74. როგორც ზოგადად აპელაციების გარკვეული ოდენობის, ასევე წარმატებული აპელაციების გარკვეული ოდენობის შესწავლა შეიძლება გახდეს ხარისხის მეტ-ნაკლებად წარმატებული მაჩვენებელი. თუმცა ემსხ ხაზს უსვამს, რომ არც აპელაციების რაოდენობა და არც მათი წარმატების დონე არ არის გასაჩივრებული გადაწყვეტილების ხარისხის აუცილებელი მაჩვენებელი. წარმატებული აპელაცია შეიძლება იყოს მარტოდენ სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის განსხვავებული შეფასება მოცემულ საკითხზე, და ეს გადაწყვეტილება თავისთავად შეიძლება გადასინჯულ ყოფილიყო თუ საქმე უზენაეს სასამართლოში წარიმართებოდა.

## 3. იუსტიციის საბჭოს როლი მართლმსაჯულებაში

75. ეროვნული და საერთაშორისო ორგანოები, რომლებიც ახდენენ სასამართლო გადაწყვეტილებების შეფასებას, სრულიად დამოუკიდებელი უნდა იყვნენ აღმასრულებელი ხელისუფლებისაგან. რაიმე ზეწოლის თავიდან ასაცილებლად იმ სახელმწიფოებში სადაც არსებობენ იუსტიციის საბჭოები<sup>19</sup>, საბჭო უნდა აფასებდეს სასამართლო გადაწყვეტილების ხარისხს. საბჭოს შიგნით კი შეფასება უნდა განახორციელოს იმ დეპარტამენტმა, რომელიც არ იქნება პასუხისმგებელი მოსამართლეთა დისციპლინურ საკითხებზე. ამავე მიზეზების გამო იმ ქვეყნებში, სადაც არ არსებობენ იუსტიციის საბჭოები სასამართლოს გადაწყვეტილების ხარისხი უნდა შეაფასოს საგანგებო ორგანომ, რომელსაც ისეთივე დამოუკიდებლობის გარანტიები ექნება, როგორც იუსტიციის საბჭოს.

### **ძირითადი დასკვნები და რეკომენდაციები**

ა) გარეგანი მაჩვენებლები, რაზეც სასამართლო გადაწყვეტილების ხარისხი არის დამოკიდებული, მოიცავს საკანონმდებლო ხელისუფლების მიერ მიღებულ კანონმდებლობას. მნიშვნელოვანია, პარლამენტმა მეთვალყურეობა გაუწიოს კანონმდებლობის ძალაში შესვლას და წარმოადგინოს საკანონმდებლო წინადადებები სასამართლო სისტემის შესახებ.

ბ) მიღებული გადაწყვეტილების ხარისხი დამოკიდებულია ადამიანურ, ფინანსურ, მატერიალურ რესურსებზე სასამართლო სისტემის და ასევე, მოსამართლის ფინანსურ დაცვაზე.

გ) მოსამართლეების და სხვა იურისტების სამართლებრივი სწავლება არის მნიშვნელოვანი სასამართლო გადაწყვეტილების მაღალი ხარისხისათვის.

დ) ასევე მნიშვნელოვანია მოსამართლეებისათვის სწავლების ორგანიზება არაიურიდიულ საკითხებზე, სასამართლოს აპარატის სწავლება, რადგან მოსამართლეს აარიდონ ადმინისტრაციულ საკითხებზე ზრუნვა და მან ყურადღება დაუთმოს ინტელექტუალურ ასპექტებს გადაწყვეტილების.

ე) სასამართლო გადაწყვეტილების ხარისხის სტანდარტის განმსაზღვრელი არის შედეგი თანამშრომლობის სხვადასხვა აქტორებსა და სასამართლო სისტემას შორის.

ვ) მოსამართლეების პროფესიონალიზმი არის მთავარი გარანტი სასამართლო გადაწყვეტილების ხარისხის და შინაგანი ფაქტორი, რასაც გავლენა აქვს სასამართლო გადაწყვეტილებაზე. პროფესიონალიზმი გულისხმობს მოსამართლეების მაღალ სამართლებრივ მომზადებას და განვითარებას დამოუკიდებლობის კულტურის და ეთიკის. ეს მოითხოვს მოსამართლეებისაგან ცოდნას სამართლებრივი და არასამართლებრივი საკითხების.

ზ) სხვა შიდა ფაქტორები, რასაც გავლენა აქვს გადაწყვეტილებაზე, არის საქმის განხილვის პროცედურა და მართვა. პროცესი უნდა იყოს ნათელი, გამჭვირვალე და წინასწარგანსაზღვრებადი. მოსამართლემ უნდა მოახდინოს პროცესის ორგანიზება აქტიურად და ზუსტად. გადაწყვეტილება უნდა იყოს მიღებული სათანადო დროს. პროცესის სინქარე არ არის ერთადერთი, რაც უნდა იყოს მიღებული მხეველობაში, სასამართლო გადაწყვეტილება უნდა დაიცვას სამართლიანი სასამართლოს უფლება, სოციალური ჰარმონია და სამართლის უზენაესობა.

თ) საქმის სწორი მართვის სტანდარტული მოდელი უნდა იყოს გამოყენებული და მიღებული მოსამართლეებს შორის საკონსულტაციო შეხვედრაზე.

ი) მოსმენა უნდა ჩატარდეს მაშინ, როდესაც ამას ითვალისწინებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო და უნდა შეესაბამებოდეს ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციას, ეს უზრუნველყოფს მხარეებისათვის და საზოგადოებისათვის იმ მინიმალური სტანდარტების დაცვას, რაც არის სამართლიანი სასამართლო.

კ) პროცესის სამართლიანობა, სამართლის პრინციპების სწორი ახსნა ფაქტების საფუძველზე, ასევე, გადაწყვეტილების შესრულების შესაძლებლობა არის მახასიათებლები ხარისხიანი სასამართლო გადაწყვეტილების.

ლ) გადაწყვეტილება უნდა იყოს გასაგები და ჩამოყალიბებული ნათელ და უბრალო ენაზე, მოსამართლეების ინდივიდუალური სტილის გათვალისწინებით ან სტანდარტული მოდელის გამოყენებით.

მ) ემსს-ს რეკომენდაციის მიხედვით, სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლებმა მიზანშეწონილია შეაგროვონ გადაწყვეტილებების კარგი პრაქტიკა, რაც გააადვილებს გადაწყვეტილების პროექტის შედგენას.

ნ) სასამართლო გადაწყვეტილებები უნდა იყოს დასაბუთებული. გადაწყვეტილების ხარისხი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ არის დასაბუთებული, დასაბუთებაში შეიძლება სამართლებრივი პრინციპების ინტერპრეტაცია, მაგრამ დაცული უნდა იყოს სამართლის უზენაესობა და შინაარსი. როდესაც სასამართლო გადაწყვეტს გადაუხვიოს არსებულ პრეცედენტულ სამართალს, ეს უნდა იყოს გასაგებად ახსნილი გადაწყვეტილებაში.

ო) ემსს-ს რეკომენდაციის თანახმად, მნიშვნელოვანია სამართლებრივი ტრადიციების შესაბამისი მექანიზმის არსებობა, რომელიც განსაზღვრავს უზენაესი სასამართლოსადმი მიმართვის წესს.

პ) მოსამართლის განხევავებულ მოსაზრებას მნიშვნელობა აქვს გადაწყვეტილების გაგებაში და სამართლის განვითარების საქმეში. ასეთი მოსაზრებები უნდა იყოს დასაბუთებული და გამოქვეყნებული.

ჟ) ნებისმიერი ბრძანება სასამართლო გადაწყვეტილებით გათვალისწინებული, უნდა იყოს დაწერილი ნათლად და არაორაზროვნად, გასაგები იყოს შესრულების საკითხი, ადვილად შეიძლებაოდეს ცხოვრებაში გატარება.

რ) ემსს-ს თანახმად, სასამართლო გადაწყვეტილება შეიძლება იყოს გასაჩივრებული სასამართლო წესით ან მოხდეს გადახედვა, ასევე, გარანტირებული უნდა იყოს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსათვის მიმართვა.

ს) სასამართლო სისტემის შეფასება უნდა მოხდეს მიღებული სასამართლო გადაწყვეტილებების ხარისხის შეფასებით. ყურადღება უნდა მიექცეს მოცულობას, გამჭვირვალებას, პროცესს.

ტ) შეფასება უნდა მოხდეს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ფუნდამენტური პრინციპების შესაბამისად. ეს არ უნდა მოხდეს მხოლოდ ეკონომიკური ან მართვის მიზეზით.

უ) ნებისმიერი სახის შემოწმებამ არ უნდა დაარღვიოს მოსამართლეების დამოუკიდებლობა, როგორც სისტემის, ასევე ინდივიდუალურ დონეზე, არ უნდა იყოს ბიუროკრატიული და არ უნდა შეეხოს ინდივიდუალური მოსამართლეების პროფესიულ მხარეს, ასევე არ უნდა დააყენოს ეჭვქვეშ გადაწყვეტილების კანონიერების საკითხი.

ფ) ნებისმიერი შემოწმების მიზანი უნდა იყოს საჭიროებების განსაზღვრა, კანონმდებლობაში არსებული ხარვეზების გამოსწორება, სასამართლო პროცესის შეცვლა ან გამოსწორება, მოსამართლეების, სასამართლო აპარატის შემდეგი სწავლება.

ქ) ემსს-ს რეკომენდაციით, სასურველია, შემოწმების მეთოდების კონბინაცია, მეცნიერული სიზუსტით გამოყენება, გამჭვირვალე მიზნების მისაღწევად.

ღ) ემსს განსაზღვრავს ასევე მოსამართლეების მიერ საკუთარი თავის შემოწმებას. ასევე, შემოწმებაში გარეშე პირების მონაწილეობას, სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის სრულად უზრუნველყოფით.

ე) უზენაეს სასამართლოს, თავის პრეცედენტული სამართლით, სასამართლო პრაქტიკით და ყოველწლიური მოხსენებებით გავლენა აქვს სასამართლო სისტემის განვითარებაზე. ამისათვის მნიშვნელოვანია, პრეცედენტული სამართალი იყოს ნათელი, თანმიმდევრული, მტკიცე.

შ) სასამართლო გადაწყვეტილებების ხარისხის შემოწმება უნდა დაეკისროს მოსამართლეთა კონფერენციას სადაც არსებობს, ან სხვა ორგანოს, მოსამართლეების დამოუკიდებლობის იგივე გარანტიით.

1. ყველა ტექსტი მართლმსაჯულების ხარისხის შესახებ გამოხატავს ევროსაბჭოს სულისკვეთებას ხარისხიანი მართლმსაჯულების საჭიროების შესახებ. „ევროსაბჭოს შეხედულებით, ხარისხისადმი მიდგომა არ შეიძლება განისაზღვროს ერთი გადაწყვეტილების განხილვით, მაგრამ გადაწყვეტილება და მისი ხარისხი, როგორც ნაწილი ამომწურავი მიდგომის, დამოკიდებულია სასამართლო სისტემის ხარისხზე, მოსამართლეების, დამცველების, სასამართლო პერსონალის ჩათვლით, ასევე, პროცესის ხარისხი განაპირობებს გადაწყვეტილების ხარისხს. ევროსაბჭოს რეკომენდაციის თანახმად, გადაწყვეტილების ხარისხის გაუმჯობესებისათვის სასურველია მიღწევა გაუმჯობესების თითოეული ამ პუნქტის.

2. იხილეთ ასევე კონფერენციის დასკვნა სასამართლო გადაწყვეტილების ხარისხის შესახებ, რომელიც ორგანიზებული იყო ესტონეთის უზენაესი სასამართლოს მიერ ტარტუში (18 ივნისი, 2008) ესტონეთის მოსამართლეთა ორგანიზაციის მონაწილეობით და ემსს-ს სამუშაო ჯგუფის მონაწილეობით.

3. იხილეთ კითხვარი სასამართლო გადაწყვეტილების ხარისხის შესახებ და პასუხები ემსს-ს ვებ გვერდზე: [www.coe.int/t/CD/CCJ](http://www.coe.int/t/CD/CCJ)

4. საპროცესო სამართალთან დაკავშირებით, ემსს-ს სურვილია, მის 2004 წლის № 4 დასკვნაზე მითითებით, რომ სასამართლო გადაწყვეტილების ხარისხის უზრუნველსაყოფად უნდა მოხდეს მისი მიღება მისაღებ დროში, კანონმდებელმა უნდა გააკეთოს ოპტიმალური არჩევანი სასამართლო პროცესის ხანგრძლივობასა და დავის ალტერნატიული გადაწყვეტის სქემას შორის.

5. იხილეთ ემსს-ს დასკვნა №1. 2001. მუხლი 61.

6. იხილეთ ემსს-ს დასკვნა №2. 2001.

7. იხილეთ ემსს-ს დასკვნა №4. 2003.

8. შემთხვევების შესწავლის კარგი და ცუდი პრაქტიკის სტანდარტული მოდელები გადაწყვეტილების შედგენის მეთოლოგიასთან ერთად, გაზეთები და მოსამართლის წიგნები შექმნილი სწავლების მიზნით, ფართოდ უნდა გავრცელდეს მოსამართლეებს შორის.

9. ემსს-ს №6 (2004) დასკვნის მიხედვით, პრინციპების განვითარება, რომელიც დადგენილია რეკომენდაციით № დ (84) 5, აქვე ყურადღება არის გამახვილებული მოსამართლეების აქტიური როლის მნიშვნელობაზე სამოქალაქო პროცესის ხელმძღვანელობაში (მუხლი 90-102, 126).

10. რეკომენდაცია უნდა შეეხებოდეს ემსს-ს 2005 წლის № 7 დასკვნას, 56-61 მუხლებს.

11. გამონაკლისები შეიძლება მოიცავდეს გადაწყვეტილებებს საქმეების მართვასთან დაკავშირებით (განხილვის ვადის გაგრძელება), მეორეხარისხიან საპროცესო დავებს ან ისეთ დავებს, რაც გამოძინარეობს არსებითად დაკმაყოფილების მიუღებლობიდან (გადაწყვეტილებები ვალდებულების შეუსრულებლობის შესახებ), სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, რომელიც ადასტურებს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებებს იგივე არგუმენტებისა და იგივე საფუძვლის განხილვის შემდეგ, ნაფიცი მსაჯულების სასამართლოს გადაწყვეტილებები და ზოგიერთი გადაწყვეტილება, რომელიც ითვალისწინებს აპელაციის

შეტანის უფლებას ან გასაჩივრების უფლებას, იმ ქვეყნებში, სადაც ასეთი სარჩელი ნებადართულია.

12. დეტალურად იხილეთ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება. ბოლდეა რუმინეთის წინააღმდეგ. 15 თებერვალი. 2007. პარაგრაფი 29. ვან დე ჰურტი ნიდერლანდების წინააღმდეგ. 19 აპრილი. 1994. პარაგრაფი 61.

13. დეტალურად იხილეთ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება. ბოლდეა რუმინეთის წინააღმდეგ. 15 თებერვალი. 2007. პარაგრაფი 29. ჰელე ფინეთის წინააღმდეგ. 19 თებერვალი. 1997. პარაგრაფი 60.

14. „ევროპის სამართალი“ გულისხმობს ევროსაბჭოს, ევროკავშირის სამართალს.

15. იხილეთ ემსს-ს დასკვნა №9. 2006.

16. იხილეთ ემსს-ს დასკვნა №6. 2004. მუხლი 130.

17. იხილეთ ემსს-ს დასკვნა №6. 2004. ნაწილი . მუხლი 34. ემსს-ს დასკვნა № 10. 2007. მუხლი 52-56 და 78.

18. იხილეთ ემსს-ს დასკვნა №6. 2004. მუხლი 36.

19. ეს საბჭოები იქმნება და მოქმედებს ემსს-ს 2007 წლის № 10 დასკვნის შესაბამისად.